პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა დეპუტატთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

ხუთშაბათი, 1 მარტი, 1951 წ. № 50 (8904). ფასი 20 კაპ.

1950 წელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში მიღწეული ახალი წარმატებებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შესაძლებლად მიიჩნიეს განხორციელდეს მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი — სათვალავით მეოთხე — შემცირება.

ფასების ეს შემცირება საბჭოთა სახელმწიფოს ძღიერების, მისი მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკის, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ჩვენი პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის მზრუნველობის ახალი ბრწყინვალე გამოხატულებაა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ

1950 წელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში მიღწეულ ახალ წარმატებებთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა შესაძლებლად მიიჩნიეს განხორციელდეს მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი — სათვალავით მეოთხე — შემცირება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინეს:**

1. 1951 წლის 1 მარტიდან სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები შემცირდეს შემდეგი ოდენობით:

კუჭი და კუჭ-ფუნთუშის ნაწარმი

ჭვავისა და ხორბლის პური, ფუნთუში, ბლითი და პურ-ფურთუშის სხვა ნაწარმი	15%
საფუარი	15%

ფქვილი

ჭვავის, ხორბლის, სიმინდისა და სხვა ფქვილი	15%

გურულული, ბრინჯი და პარკოსანი კულტურები

ფეტვი, წიწიბურას ბურღული, სხვა ბურღული, ბრინჯი, მუხუდო და სხვა პარკოსანი კულტურები	15%

მაკარონის ნაწარმი და საკვები კონცენტრატები

მაკარონი, ვერმიშელი, ლაპში და საკვები კონცენტრატები	15%

მარცვლეული და ფურაჟი

ჭვავი, ხორბალი, შვრია, ქერი და სხვა სახის მარცვლეული, ქატო, კოპტონი, კომბინირებული საკვები, თივა და ბზე	15%

ხორცი და ხორცის პროდუქტები

ძროხის ხორცი, ცხვრის ხორცი, ღორის ხორცი, ფრინველი, ძეხვი, სოსისი, სარდელი, კოტლეტი, ხორცის, ხორც-მცენარეული და ქონ-პარკოსანთა კონსერვი და ხორცის სხვა პროდუქტები	15%

თევზი და თევზეული

თევზი, ქაშაყი, თევზის კონსერვები, ხიზილალა შავი და წითელი და სხვა თევზეული	10%

ცხიმეული, ყველი და რძის პროდუქტები

ერბო-კარაქი	15%
საქმელი ქონი, მარგარინი, ყველი, რძე და რძის პროდუქტები, რძის კონსერვი, ნაყინი და კვერცხი	10%

საკონდიტრო და საბაკალეო საქონელი

ნამცხვარი, ვაფლი, კეკსი, შაქარლამა, ტორტი, თაფლის პური და ფქვილის სხვა საკონდიტრო ნაწარმი	10%
ჩაი, ყავა, ჩაის, ყავისა და კაკაოს სასმელი	10%
მარილი	21%

არაყი, ლიქიორი და კონიაკი

არაყი, ლიქიორი, სხვადასხვა ნაყენი	10%
კონიაკი	10%

ტომატისა და ხილის წვენი

ტომატისა და ხილის წვენი და სოუსი	10%

სოიის პროდუქტები

სოიის კვერი, კეფირი, სოუსი, სოიის სანლინე ფქვილი და სოიის სხვა პროდუქტები	15%

საპონი და პარფიუმერია-კოსმეტიკის საქონელი

სარეცხი და ხელის საპონი	15%
სუნამო, ოდეკოლონი, სასიურპრიზე კოლოფები და პარფიუმერია-კოსმეტიკის სხვა საქონელი	10%

თამბაქოს ნაწარმი

პაპიროსი, სიგარეტი და თამბაქო	10%
წეკო	15%

ავეჯი

მაგიდა, სკამი, კარადა, დივანი და სხვა სახის ავეჯი	20%
ლითონის საწოლი	20%

ფაიფურის, ქაშანურისა და მინის ნაწარმი

ფაიფურის, ქაშანურის ჭურჭელი და მბატვრული ნაწარმი	20%
ჩაის ჭიქა და შუშის სხვა ჭურჭელი, საოჯახო ჭურჭელი, ლამპის ნაწარმი და სარკე	10%

ასანთი, ნავთი და बენზინი

ასანთი	20%
ნავთი	22%
बენზინი	20%

რადიომიმღები, ველოსიპედი, მოტოციკლი და საათი

რადიომიმღები და სხვა რადიოსაქონელი	10%
ველოსიპედი, მოტოციკლი და მათი სათადარიგო ნაწილები	10%
საათი მაჯის, ჯიბისა და სხვა	10%

საშენი მასალა

შიფერი და რბილი სახურავი	20%
ფანჯრის მინა	20%
ლურსმანი და ნაგლინი მავთული	10%
რკინა სახურავის და ხარისხოვანი	10%
ცემენტი	10%
შპალერი	10%

საოჯახო საქონელი

საკერავი მანქანა და მისი სათადარიგო ნაწილები	10%
ბორცის საკეპი მანქანა, ნავთქურა, კეროგაზი, პრიმუსი და მათი სათადარიგო ნაწილები	10%
დანის ნაწარმი	10%
კლიტე	10%
კავეული ნაწარმი	10%
ღუმელის სხმული, უთო ქურაზე დასადგმელი და ნახშირისა	10%
ნაჯახი, ნიჩაბი, ცელი და ფიწალი	10%
სასარაჯე საქონელი	10%
პლასტმასის ნაწარმი	10%

2. შესაბამისად შემცირდეს ფასები რესტორანებში, სასადილოებში, ჩაიეებსა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებში.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ჩვენ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილენი, მთელი კოლმეურნე გლეხობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის სახელით მხურვალე, გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, საკოლმეურნეო წარმოების შემოქმედს, ხალხთა საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ დიად სტალინურ ეპოქაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც შრომა სახელის, გმირობისა და ღირსების საქმეა.

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად თქვენი, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ბრძნული ხელმძღვანელობით საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, აყვავდა და გაიფურჩქნა სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ჩვენი რესპუბლიკა ყოველწლიურად სულ უფრო მეტი რაოდენობით აწვდის საბჭოთა კავშირის მშრომელებს ჩაის, ციტრუსებს, თამბაქოს, სუკეთესო სუფრის ღვინოებს და შამპანურს, ყურძენს, ხილს. შეიქმნა ძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა, რაც საქართველოს მშრომელთა დიდი მონაპოვარია. მთელი ქართველი ხალხი ყოველივე ამას გმადლობთ თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეო, საქართველოში სუბტროპიკული კულტურების დანერგვასა და განვითარების ინიციატორს.

კოლმეურნე გლეხობა, საქართველოს მშრომელები, ჩვენი მძლავრი სამშობლოს ხალხთა ძმურ ოჯახში გაერთიანებულნი, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებენ თქვენს წინაშე დაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საერთო მოსავალი 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდა 63,3 პროცენტით, მსხვილფეხა საქონლის სულადობა კოლმეურნეობებში — 37 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 97,5 პროცენტით, ხოლო ღორის სულადობა — 172 პროცენტით. ჩვენმა კოლმეურნეობებმა შესრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა.

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჩაის ფოთლის დამზადების საქმეში. გასულ წელს მთ მოკრეფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 83.724 ტონი პირველი და მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლი, ანუ 48.334 ტონით მეტი, ვიდრე 1940 წელს და 64.970 ტონით მეტი, ვიდრე 1945 წელს. საგრძნობლად გადიდდა აგრეთვე ყურძენის, ხილის, თამბაქოს, აბრეშუმის პარკისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჩაბარება სახელმწიფოსათვის.

ჩვენ ყოველთვის გვახსოვს თქვენი ბრძნული მითითება, რომ კოლმეურნეთა მასის ფართო საწარმოო აქტივობა, ინიციატივა და თავდადებული შრომა უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს კოლმეურნეობათა აყვავებისათვის, მათი საზოგადოებრივი საკუთრების სწრაფი გადიდებისათვის, კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის.

საკოლმეურნეო წყობილებამ, რომლის შემოქმედიც თქვენ ხართ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ქართველ გლეხობას მოუტანა შეძლებული და კულტურული ცხოვრება. ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავალი. ახლა ჩვენში ბევრია კოლმეურნეობები, რომლებიც ერთ შრომადღეზე ანაწილებენ 20-40 მანეთს ფულად და 5-10 კილოგრამ მარცვლეულს. გადიდდა მილიონერ კოლმეურნეთა რიცხვი.

გასული სამეურნეო წელი შესანიშნავია იმით, რომ არა მარტო ცალკეულმა მოწინავე კოლმეურნეებმა და კოლმეურნეობებმა, არამედ ათასობით როგორმა კოლმეურნემ, მრავალმა ასეულმა კოლმეურნეობამ და ბევრმა საბჭოთა მეურნეობამ, მთელმა რიგმა რაიონებმაც კი ახალი ტექნიკის გამოყენებით, აგრონომიული მეცნიერების მიღწევების დანერგვით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით და მოწინავეთა მდიდარი გამოცდილების ფართოდ გავრცელებით მიაღწიეს მაღალ მოსავალს.

საბჭოთა საქართველოს სიამაყეს წარმოადგენენ ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი საკოლმეურნეო სოფლის საუკეთესო ადამიანები, სოციალისტური მიწათმოქმედების ოსტატები, რომლებიც ახალ გზებს კაფავენ უხვი მოსავლის მოყვანისათვის, მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობისათვის, საკოლმეურნეო დოვლათის შემდგომი გადიდებისათვის.

სიხარულით მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ამჟამად საქართველოს ჰყავს 980 სოციალისტური შრომის გმირი და ათასობით სოფლის მეურნეობის მოწინავენი, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

საკავშირო მთავრობამ და პირადად თქვენ, ამხანაგო სტალინ, საბრძოლო ამოცანად დაგვისახეთ უახლოეს წლებში მთლიანად დავაკმაყოფილოთ სა-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. თათბირის პრეზიდიუმში არიან (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხანაგები: ს. მარიდაშვილი, გ. ზამბახიძე, მ. დელბა, ა. ბგელაძე, ზ. კეცხოველი, ვ. ბოგდა, შ. ბაბრაძე, კ. ჩარკვიანი, ს. იუზბაშოვი, ნ. რუხაძე, ზ. ჩიუზიანიშვილი, ვ. ცხოვრებაშვილი, რ. შადური, ბ. ჯინჯარაძე, კ. ბეჭვაია. ტრიბუნაზეა ამხ. მ. ბარაშია.

ფოტო ეკ. ბინიაურისა

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

(დასასრული)

ქართველი საკუთარი მარცვლეულით, ამასთანავე ფართოდ განვავითაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა და მივაღწიოთ მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომ სწრაფ აღმავლობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად საკითხებზე საკავშირო მთავრობის 1950 წლის 25 აპრილისა და 5 ოქტომბრის დადგენილებანი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის, საქართველოს შემდგომი სამეურნეო და კულტურული აყვავებისათვის ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, პირადად თქვენი, მშობლიურო ბელადო და მასწავლებელო, უდიდესი მზრუნველობის გამოხატულებაა.

ამ სტალინურმა მზრუნველობამ სოფლის მშრომლები და მთელი ქართველი ხალხი აღაფრთოვანა ახალი შრომითი გმირობისათვის. უკვე მნიშვნელოვნად გაიზარდა ნათესი ფართობები. ახალი მიწების ათვისების გზით 1950 წლის შემოდგომაზე დავთესეთ გეგმის გადამეტებით 25 ათასი ჰექტარი და 1949 წელთან შედარებით 81 ათასი ჰექტარით მეტი ხორბალი. ხორციელდება ყველა საჭირო ღონისძიება მიმდინარე წელს უხვი მოსავლის მოსაყვანად ნათესთა მთელ ფართობზე.

ჩვენ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ჩვენი რესპუბლიკის მთელი კოლმეურნე გლეხობის სახელით ვალდებულებას ვკისრულობთ: გავაუმჯობესოთ ყველაზე უძვირფასესი სასურსათო კულტურის — ხორბლის მოყვანის აგროტექნიკა, ფართოდ გავაჩაღოთ სარწყავი სისტემების მშენებლობა, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ტრაქტორების, კომბაინების მაღალნაყოფიერ, შეუფერხებელ მუშაობას, გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფართოდ დანერგვისათვის, კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სწორად და სრულად გამოყენებისათვის.

რა რიგ დიდიც უნდა იყოს ჩვენი მიღწევები, ყოველთვის გვახსოვს თქვენი ბრძნული მითითება, რომ საბჭოთა ადამიანებს არ შეფერით მიღწეულით დაკმაყოფილება. პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ არ დავიშურებთ მთელ ჩვენს ძალასა და ენერგიას სოფლის მეურნეობის განვითარების სტალინური პროგრამის განსახორციელებლად, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე და დადგენილ ვადებში ჩავატარებთ საგაზაფხულო თესვას, მარცვლეულ კულტურებს დავთესავთ ჯიშიანი თესლით, სანიმუშოდ მოვუვლით ნათესებს, უდანაკარგოდ ავიღებთ მოსავალს და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას გავაჩაღებთ მოსავლის აღების დაწყების პირველი დღეებიდანვე.

ჩვენ მტკიცედ განვახორციელებთ თქვენს მითითებებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების დარგში. ამ მიზნით ფართოდ მოვაშენებთ ჯიშიან პირუტყვს, გავადიდებთ მეცხოველეობის პროდუქტიულობას, ყოველმხრივ განვავითარებთ მეფრინველეობას, შევუქმნით მეცხოველეობას მტკიცე საკვებ ბაზას.

წელს ჩაის ფოთლის უფრო მაღალ მოსავალს მოვიყვანთ, ვიდრე გასულ წლებში და მივაწოდებთ ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელებს ქართული სურნელოვანი ჩაის კიდევ მეტ რაოდენობას. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ 1949-50 წლის მკაცრი ყინვებით ციტრუსოვანი ნარგავებისათვის მიყენებული ზიანის ლიკვიდაციას და მთლიანად აღვადგენთ და ფართოდ განვავითარებთ ციტრუსოვანთა მეურნეობას.

თავდადებულად ვიშრომებთ მევენახეობის შემდგომი აღმავლობისათვის, საკავშირო მთავრობის დადგენილების საფუძველზე გავაშენებთ მხოლოდ და მხოლოდ ძვირფას სამრეწველო ჯიშებს და გადაჭრით გავაუმჯობესებთ ვენახების მოვლა-დამუშავებას.

ძვირფასო ამხანაგო სტალინ! პირობას გაძლევთ, რომ ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის უფრო განმტკიცებას, თვალისჩინივით გავუფრთხილდებით საკოლმეურნეო დოვლათს და ამით უზრუნველვყოფთ კოლმეურნეობების შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ მეცნიერ მუშაკთა კადრებს და უხვი მოსავლის ოსტატებს, რომელნიც პრაქტიკულად იყენებენ საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების შესანიშნავ მიღწევებს. ახლა, როცა პარტიამ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევების, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების ფართო პროპაგანდისა და საკოლმეურნეო წარმოებაში მათი დანერგვის ამოცანა, სიტყვას გაძლევთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ ამ საპატიო დავალების შესასრულებლად.

ჩვენ სახელისა და ღირსების საქმედ მიგვაჩნია პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შევიმუშაოთ მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ახალი, სრულყოფილი მეთოდები, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილება გავხადოთ მთელი კოლმეურნე გლეხობის კუთვნილებად და ამით ხელი შევუწყოთ სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურის შემდგომ აღმავლობას.

ჩვენ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავენი, შევიკრიბეთ მეტად სასიხარულო დღეებში. მთელმა ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა თავისი ეროვნული დღესასწაული — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავი, რომელმაც ჩაიარა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მორიგი ამოცანების გადაჭრისათვის რესპუბლიკის მშრომელთა მთელი ძალების მობილიზაციის ნიშნით.

ყველა თავის გამარჯვებას, ყველა მიღწევას ქართველი ხალხი უმადლის ლენინ-სტალინის დიად პარტიას, გიმადლით თქვენ, ძვირფასო და საყვარელო ბელადო და მასწავლებელო.

ქართველი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ თქვენ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი საყოველთაო-სახალხო დეპუტატი ხართ.

თქვენი ძვირფასი სახელი, უკვდავი ლენინის დიადი საქმის გენიალური ვანმგრძობის სახელი, კომუნიზმის აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის დროშაა.

სულით და გულით გისურვებთ, საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, ჯანმრთელობას, მრავალ და მრავალ წელს სიცოცხლეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს მძლავრ საკოლმეურნეო წყობილებას!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს!

დიდება კოლმეურნე გლეხობის დიდ მეგობარს, სოციალისტური მიწათმოქმედების გენიალურ ორგანიზატორს, საყვარელ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!

ტრაქტორების რემონტი

25 თებერვლისათვის საქართველოს მტს-ებში ტრაქტორების საზამთრო რემონტის რესპუბლიკური გეგმა შესრულებული იყო 93,1 პროცენტით.

რემონტი დამთავრებულია 26 მტს-ში. დანარჩენი მტს-ებიდან დავალება 90-ზე მეტი პროცენტით არის შესრულებული ივრის, ქაჩაგნის, ენისლის, ახმეტის, თელავის, შირაქის, ალაზნის, კაჭრეთის, გურჯაანის, ახალციხის, ვაჩიანის, შინდისის, ქარელის, აგარის, სამტრედიის, წყალტუბოს, გეგეჭკორის, ცხაკაიას და მახარაძის მტს-ებში.

კვლავ ჩამორჩენილია შულავრის მტს-ი, გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 55,6 პროცენტით (შეუკეთებელია 12 ტრაქტორი).

გალის მტს-ში დავალება 75,8 პროცენტით არის შესრულებული, ოჩამჩირის—73,5, გაგრის—66,7, ლანჩხუთის—73,7, ხობის—74,1, ზესტაფონის მტს-ში — 78,6 პროცენტით.

გეგმა 80-დან 90-მდე პროცენტით აქვთ შესრულებული საგარეჯოს, მარნეულის, მცხეთის, წითელწყაროს, წნორის, დმანისის, ახალქალაქის, სტალინირის, წითელქალაქის, კასპის, ახალსოფლის, ვანის, წულუკიძის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ზუგდიდისა და გუდაუთის მტს-ებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირი

გუშინ, 28 თებერვალს, დილისა და საღამოს სხდომებზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ბარამიას მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ: ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ა. როგავა, სოხუმის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ჯობავა, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი დარეჯან ტაკიძე, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი ი. ბოლქვაძე, თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრ. ჭელიძე, თეთრი წყაროს რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ბელიაევი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. ლომოური, ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომის“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ნატროშვილი, სამტრედიის რაიონის ჯიხაიშის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე რ. ახალაძე, ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. სურმანიძე, დოცენტი ი. ხოხლოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემინდვრეობის ინსტიტუტის დირექტორი მ. დალაქიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. მუჯირი, კასპის რაიონის სოფელ ქვემოგომის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი სოფიო მარიდაშვილი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კობაიძე, გორის რაიონის სოფელ თორტიზის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ბერძნიშვილი, ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ს. ბუჯიაშვილი, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი გული ჯინჭარაძე, მარნეულის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. აივაზოვი, პროფესორი ი. სარიშვილი, ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ყანჩაველი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. მირიანაშვილი, სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ქრისტესიაშვილი, ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრ. შონია და ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ნაკაიძე-ბერაია.

უხვი მოსავლის ოსტატებმა, საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერმა ორგანიზატორებმა, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების წარმომადგენლებმა თათბირს მოუთხრეს თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე, საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების ახალ მიღწევებზე და მთელი რიგი მნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენეს იმ პასუხსაგები ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად, რაც ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მიერ არის დასახული საქართველოს სოფლის მშრომელთა წინაშე.

თათბირზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს კოლმეურნე გლეხობის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი.

უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ტაშის გრიალში თათბირის მონაწილენი ღებენ მისასალმებელ დეპეშას საკოლმეურნეო წყობილების შემოქმედის, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადის, მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინისადმი.

* * *

დასასრულ თათბირის მონაწილეთათვის ნაჩვენები იქნა ვს. ვიშნევსკის პიესა „დაუვიწყარი 1919“.

ფართოდ გავშალოთ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

თბილისელ რკინიგზელთა სოციალისტური ვალდებულებანი

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კლუბში შედგა თბილისელი რკინიგზელების — ორთქლმავლებისა და ელექტრომავლების მემანქანეების, დისპეტჩერების თათბირი, რომელიც მოწვეული იყო რკინიგზის თბილისის პოლიტგანყოფილების მიერ. თათბირს ესწრებოდნენ აგრეთვე თბილისისა და ნავთლუღის რკინიგზის კვანძთა საწარმოების ხელმძღვანელები.

განხილულ იქნა საკითხი ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალზე ხუთასოვანთა მოძრაობის შემდგომი გაფართოებისა და ლოკომოტივთა საშუალო სადღეღამისო გარბენის გადიდების შესახებ.

თათბირის მონაწილეებმა დასახეს სათანადო ღონისძიებანი ხუთასოვანთა მოძრაობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად და მოწოდებით მიმართეს ამიერკავკასიის რკინიგზის სალოკომოტივო ბრიგადებს და დისპეტჩერებს ფართოდ გაშალონ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერენ თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანეები — ო. დონგაძე, გ. ბოგვერაძე, ო. ზეინალიშვილი, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეები — ი. ჩომახიძე, ა. ლომსაძე, ო. ალექსეენკო, საელმავლო დეპოს მორიგე ვ. წერუაშვილი, საორთქლმავლო დეპოს მორიგე მ. ხატაშვილი, თბილისის განყოფილების დისპეტჩერები ე. თხელიძე, ა. ზარგარიანი, ს. კვირიკაშვილი, განყოფილების მორიგე ლ. მორჩილაძე, წევის დარგის დისპეტჩერები ა. ნანიტაშვილი და ი. ყველიაშვილი, ჩამოთვლილია ვალდებულებანი, რომელთა შესრულებასაც კისრულობენ ლოკომოტივთა მემანქანეები და დისპეტჩერები საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გასამარჯვებლად.

— ჩვენ, — ნათქვამია მიმართვაში,— ვკისრულობთ სატვირთო მოძრაობისათვის გათვალისწინებულ ლოკომოტივთა მთელი პარკი გადავიყვანოთ შემჭიდროებული გრაფიკით მუშაობაზე, უზრუნველვყოთ ლოკომოტივთა სადღეღამისო გარბენის ნორმების გადაჭარბებით შესრულება და თბილისის საელმავლო და საორთქლმავლო დეპოები გადავაქციოთ ხუთასოვან მემანქანეთა დეპოებად;

შემჭიდროებული გრაფიკის შემოღების შედეგად შევამციროთ მომუშავე ლოკომოტივთა პარკი და მოვიყვანოთ იგი მოთხოვნილების შესაფერის მდგომარეობაში;

ლოკომოტივთა მიმოქცევის დასაჩქარებლად ვკისრულობთ ტექნიკურ საჭიროებათათვის ლოკომოტივის დგომის დრო (ღუმელის გამოწმენდა, საპოხის წასმა, საწვავისა და წყლის აღება) შევამციროთ 15 პროცენტით, ტექნიკური სისწრაფის ნორმა საელმავლო დეპოში გავადიდოთ საათში 2 კილომეტრით, ხოლო საორთქლმავლო დეპოში— 1 კილომეტრით. საუბნო სისწრაფე (გადარბენისას) გავზარდოთ 1 კილომეტრით;

უზრუნველვყოთ მატარებელთა გაგზავნა და მარშრუტის მიხედვით შეუფერხებელი მოძრაობა ზუსტად შემჭიდროებული გრაფიკის მიხედვით;

ვკისრულობთ რა ამ ამოცანებს, საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ სამტრედიელ, ხაშურელ, ზესტაფონელ, ლენინაკანელ და ერევნელ რკინიგზელებს და მოვუწოდებთ მათ იბრძოლონ უკეთესი მაჩვენებლებისათვის, უზრუნველყონ ლოკომოტივთა უკეთესად გამოყენება, მძიმე წონის მატარებელთა წაყვანა და მოძრავ შემადგენლობათა მიმოქცევის დაჩქარება.

ფართოდ გავშალოთ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად.

შრომადღეზე 12 კილოგრამი სიმინდი

ყოველწლიურად სიმინდის უხვი მოსავალი მოჰყავს აბაშის რაიონის სოფელ ქოლობნის ვანო სტურუას სახელობის კოლმეურნეობას. შარშან აქ 365 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანეს 21 ცენტნერი სიმინდი და შრომადღეზე 12 კილოგრამი სიმინდი გაანაწილეს.

სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს მეოთხე და მეშვიდე ბრიგადებმა (ბრიგადირები ს. კვანტალიანი და ვ. ჯიქაძე). პირველმა 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 31 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ხოლო მეორემ—45 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 26 ცენტნერი.

ალექსანდრე მიქაძის ოჯახმა კოლმეურნეობაში 800 შრომადღე გამოიმუშავა და 8 ტონა სიმინდი მიიღო. სამსონ ახობაძის ოჯახს წლის განმავლობაში გამომუშავებულ 400 შრომადღეზე 4 ტონა სიმინდი ერგო.

ქოლობნელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ხორბლის კულტურის დანერგვას კოლმეურნეობაში. წელს მათ 12 ჰექტარი ხორბლის ჯეჯილი აქვთ, რომელსაც კარგი პირი უჩანს.

ამჟამად კოლმეურნეები მზად არიან საგაზაფხულო თესვის დასაწყებად. მზრალად მოხნულ 200 ჰექტარზე სიმინდი დაითესება. მიმდინარეობს ყამირის ათვისება.

კოლმეურნეები პირობას იძლევიან წელს მოიყვანონ ყველა კულტურის უხვი მოსავალი.

ი. ბუხაიძე

მშრომლები დიდი აღფრთოვანებით შეეგებნენ სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალ შემცირებას

★ ★

ჩვენი მუშური მადლობა დიდ სტალინს

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ამწყობი, საქვაბე და მექანიკური საამქროების ღამის ცვლის მომუშავეებმა რადიოთი მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ. მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სტალინური მზრუნველობის ამ ახალ ფაქტს მუშები დიდი აღფრთოვანებით შეეგებნენ.

სტახანოველმა მექვაბემ ამხ. გ. ბალაშვილმა განაცხადა:

— ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც წარმატებით აშენებენ კომუნიზმს, მშვიდობა სურთ. „პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში ამხანაგმა სტალინმა ერთხელ კიდევ ამხილა ომის გამჩაღებლები, რომლებიც ხალხთა ხოცვა-ჟლეტაზე ოცნებობენ. ფასების ახალი შემცირება ჩვენი ქვეყნის სტალინური სამშვიდობო პოლიტიკის ბრწყინვალე დადასტურებაა.

ამხ. ბალაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს XXX წლისთავის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე იდგა და ყოველდღიურად სამ ნორმას ანიღებდა. ფასების ახალი შემცირების აღსანიშნავად მან გეგმების 350 პროცენტით შესრულება იკისრა.

ელექტროშემდუღებელმა ამხ. ლ. გოდერძიშვილმა განაცხადა:

— ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება სულ უფრო ბედნიერი და სასიხარულო ხდება. სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალი შემცირება იმის მკაფიო მაგალითია, თუ რა დიდი ზრუნვით არის გარემოსილი საბჭოთა ადამიანი. ამ მამობრივი მზრუნველობისათვის ჩვენი მუშური მადლობა ბოლშევიკურ პარტიას, დიდ სტალინს.

ამხ. გოდერძიშვილმა და ღამის ცვლის მომუშავეებმა — ზეინკალმა ა. გაბინაშვილმა, ხარატმა ბ. შეჩენკომ და სხვებმა ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს. ისინი სტახანოვური, თავდადებული შრომით გამოხატავენ დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს.

სამშობლოს მივცეთ მეტი და მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი

ფართო მოხმარების საქონელზე ფასების ახალი შემცირების ცნობა სწრაფად გავრცელდა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ღამის ცვლის მომუშავეებში.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების მოსმენის შემდეგ მუშები გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებსა და გრძნობებს, საბჭოთა ადამიანებზე სტალინური ზრუნვის პასუხად კისრულობდნენ ახალ საწარმოო ვალდებულებებს.

ფაბრიკის ყველა მუშის აზრი გამოხატა სტახანოველმა მქსოველმა ეკატერინე ურთაშვილმა, რომელმაც განაცხადა:

— ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს თვითეული მშრომელი უსაზღვრო სიხარულისა და სიამაყის გრძნობით შეხვდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. ეს დადგენილება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ჩვენი მშობლიური ბოლშევიკური პარტია ყოველდღიურად ზრუნავს ხალხის ინტერესებისათვის. ამ დიდი ზრუნვის პასუხად ვკისრულობ სრულიად აღმოვფხვრა წუნი მუშაობაში და ყოველდღიური გეგმა 120-130 პროცენტით შევასრულო.

უბნის ოსტატმა, ახალგაზრდა ინჟინერმა მარო საკანდელიძემ თქვა:

— არსად არ არის ადამიანის შრომა დაფასებული ისე, როგორც ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი შრომა ნამდვილი შემოქმედებაა, სიხარულია. ეს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება შეგვიქმნა დიდმა სტალინმა. საყვარელ სამშობლოს, მშობლიურ სტალინს მადლობა გადავუხადოთ სტახანოვური, თავდადებული შრომით, გამოვუშვათ მეტი და მეტი აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი!

ახალი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს მქსოველებმა დ. გნიოტოვამ, თ. ჯიოევამ და სხვებმა.

ჩვენი ცხოვრება სულ უფრო სავსე ხდება

ცნობას სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ აღფრთოვანებით შეხვდნენ თბილისის საორთქლმავლო დეპოში.

აწევითი საამქროს ცნობილმა სტახანოველმა, ლენინის რაისაბჭოს დეპუტატმა ბ. ხმიადაშვილმა, რომელმაც მეოთხე სტალინურ ხუთწლედში 20 წლის გეგმა შეასრულა, განაცხადა:

—ბედნიერი ვართ სტალინური ეპოქის ადამიანები. ჩვენთვის ზრუნავენ ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა, ხალხთა ბრძენი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. ჩვენი შრომა დიდად ფასდება, ჩვენი ცხოვრება სულ უფრო სავსე ხდება. ყოველივე ეს ახალი შრომითი მამაცობისაკენ მოგვიწოდებს. ხალხის კეთილდღეობისათვის სტალინურ მზრუნველობას ჩვენ სტახანოვური საქმეებით ვუპასუხებთ, სამშობლოს მივცემთ მეტ პროდუქციას. ვკისრულობ სტახანოვურ ვახტზე დავდგე და ყოველდღიური დავალება 500 პროცენტით შევასრულო.

გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სტახანოველებმა ვ. პატარქალაშვილმა, ს. ბაისურაშვილმა, ვ. ნიკოლაიშვილმა, ვ. კალატოზიშვილმა და სხვებმა.

ახალი შრომითი აღმავლობა

დიდი სიხარული გამოიწვია თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ღამის ცვლის მომუშავეთა შორის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

მექანიკური საამქროს სტახანოველმა ხარატმა მ. აბზიანიძემ განაცხადა:

— ახლა, როცა კაპიტალისტურ სამყაროში ყოველდღიურად უარესდება მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები, ჩვენს ბედნიერ სამშობლოში ცხოვრება უფრო შეძლებული და კულტურული ხდება. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილება ფასების ახალი შემცირების შესახებ ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებს საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის სტალინურ ზრუნვას. ამ მზრუნველობას ჩვენ ახალი შრომითი მამაცობით ვუპასუხებთ. ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 300 პროცენტით გავანაღდო.

სტახანოვურ ვახტზე დადგნენ ზეინკალი დ. ღლონტი, ვ. ზახაროვი და სხვები. მათ ვალდებულება იკისრეს მარტის გეგმა 300 პროცენტით გაანაღდონ.

აგიტატორებმა ნ. გიორგაძემ, ჟ. ხოჰოლავამ და სხვებმა ამწყობ და მექანიკურ საამქროებში მოაწყეს საუბრები ფასების ახალ შემცირებასთან დაკავშირებით.

საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური

დუშეთი. (საკ. კორ.). გუდამაყრის ხეობაში მდინარე არაგვზე ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა აშენებს ელექტროსადგურს. მისი აგება დამთავრდება მიმდინარე წელს.

ელექტროსადგური გაანათებს მაღალმთიან სოფელს, დენს მიაწვდის საკოლმეურნეო ფერმებს. მისი ენერგიით მეცხოველეები მოაწყობენ პირუტყვის საკვების ელექტრომექანიკურ დამუშავებასა და ცხვრის ელექტროპარსვას.

რადიოკვანძი კოლმეურნეობაში

ახმეტა. (საკ. კორ.). ზემო ალვნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოეწყო რადიოკვანძი.

სოფელში რადიოქსელის გაყვანა სწრაფად მიმდინარეობს. სამასზე მეტი კოლმეურნის სახლში უკვე გაყვანილია რადიოს ხაზი.

კოლმეურნეთა ინდივიდუალური ბინათმშენებლობა

ახალციხე. (საკ. კორ.). ოთხი წლის მანძილზე რაიონის კოლმეურნეობებმა კოლმეურნეთა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის სახელმწიფოსაგან გრძელვადიანი კრედიტის სახით მიიღეს 5 მილიონი მანეთი.

მარტო 1950 წელს 185 კოლმეურნემ აიშენა 800 კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ბინები. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია აიგოს საცხოვრებელი ბინა 200 კოლმეურნისათვის.

მეშახტეთა ახალი უბნის მშენებლობა

ტყიბული. (საკ. კორ.). დღითიდღე იზრდება მეშახტეთა ქალაქი. ამ ცოტა ხნის წინათ ქალაქის ცენტრალურ უბანში გაჩაღდა მეშახტეთა კიდევ ერთი ახალი უბნის მშენებლობა. აქ განზრახულია ასბინიანი საცხოვრებელი სახლის აგება. ამჟამად დამთავრებულია უკვე 20 სახლის მშენებლობა, რომლებშიც შესახლებულ იქნება მნგრეველთა, მთხრელთა და მშენებელთა ოჯახები.

მატიას რაკოშის მოხსენება უნგრეთის მშრომელთა პარტიის მეორე ყრილობაზე

ბუდაპეშტი, 25 თებერვალი. (საკდეს). უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალურმა მდივანმა მატიას რაკოშმა პარტიის მეორე ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას ახასიათებს წარმატებანი და ძალთა მზარდი სიჭარბე მშვიდობის ბანაკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს. ამ ბანაკს უპირდაპირდებიან ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და მათი სატელიტები, რომელთაც ეშინიათ სოციალიზმთან მშვიდობიანი შეჯიბრებისა და რომლებიც გადავიდნენ აშკარა სამხედრო პროვოკაციისა და შორეულ აღმოსავლეთში აგრესიის პოლიტიკაზე.

მშვიდობისა და პროგრესის ბანაკის ცენტრი და მამოძრავებელი ძალაა,—თქვა რაკოშმა,— ჩვენი განმათავისუფლებელი — საბჭოთა კავშირი. მაშინ როცა კაპიტალიზმის ბანაკში ომისათვის მზადება სულ უფრო უკანა პლანზე აყენებს მშვიდობიან საქმიანობას, საბჭოთა კავშირმა შესძლო შეუდგომოდა ისეთ ნაგებობათა განხორციელებას, რომლებიც ახალ ეპოქას მოასწავებენ. ასეთებია ჰიდროელექტროსადგურები ვოლგაზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე. ეს ნაგებობანი შეცვლიან მთელი იმ მხარეების ჰავას, რომლებსაც ზარალს აყენებს გვალვა, და უდაბნოებს აყვავებულ ნაყოფიერ მიწებად გადააქცევენ.

საბჭოთა კავშირის გეგმები მოწმობენ საბჭოთა კავშირის არა მარტო უდიდეს ეკონომიურ ძლიერებას, არამედ მის რწმენასაც თავისი ძალებისადმი და მომავლის ურყევ იმედს. საბჭოთა კავშირს არ ესაჭიროება ექსპანსია, კოლონიების დაპყრობა. მშვიდობისმოყვარეობა და მშვიდობისადმი მისწრაფება მისი არსია. ამიტომ საბჭოთა კავშირი მუდამ მოითხოვს საზავო ხელშეკრულების დადებას გერმანიასა და იაპონიასთან. ამიტომ იგი წინადადებას აძლევს სხვა დიდ სახელმწიფოებს მშვიდობიანად მოაწესრიგონ სადავო საკითხები. ამიტომ იგი მოითხოვს ატომური ბომბის აკრძალვას, შეიარაღების შემცირებას, კორეის საკითხის მშვიდობიანად გადაჭრას. ამიტომ იგი არის მთელი პროგრესული კაცობრიობის მშვიდობის მომხრეთა ბანაკის ცენტრი.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებებს, რაც საბჭოთა კავშირის დახმარებით ამ ქვეყნების ხალხების მიერ მოპოვებულია მშვიდობისათვის, ახალი ომის გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაკოშმა ხაზგასმით აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებისა, რაც მოპოვებულია ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით.

ამ გამარჯვებამ, თქვა მან, არა მარტო რადიკალურად შეცვალა ორი ბანაკის ძალთა შეფარდება, არამედ კოლონიურ ქვეყნებში გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისეთი მძლავრი აღმავლობა, რომლის გავლენა მთელი თავისი ძლიერებით მხოლოდ მომავალში გამოჩნდება. კორეელი ხალხის გმირულმა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, მისმა თავდადებამ, გამძლეობამ, აგრეთვე ჩინელი მოხალისეების მიერ მისთვის გაწეულმა დახმარებამ მთელ მსოფლიოში პროგრესული მოძრაობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. ეს ბრძოლა გვიჩვენებს ძალთა შეფარდების ცვლილებას, იმას, რომ ამერიკის იმპერიალიზმის ძალები სრულიადაც ისეთი დიდი არ აღმოჩნდა, როგორც ამერიკის პროპაგანდა წარმოგვიდგენდა. ამ ბრძოლამ ცხადყო, რომ თუმცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კორეის წინააღმდეგ გამოიყვანეს თავიანთი შეიარაღებული ძალების სამი მეოთხედი, რომლებიც მობილიზებულ იქნა შვიდი თვის განმავლობაში, და იქ გაგზავნეს აგრეთვე თავიანთი სატელიტების შეიარაღებული ძალების ნაწილი, მაგრამ, მიუხედავად თავიანთი მატერიალური უპირატესობისა, მთელი რიგი დამარცხებანი განიცადეს. შემდეგ რაკოშმა ილაპარაკა ამერიკელ იმპერიალისტთა მისწრაფებაზე განახორციელონ მსოფლიო ბატონობის გეგმები. მარშალის გეგმის გამოყენებით მათ ამერიკის მსხვილ კაპიტალზე დამოკიდებული გახადეს მთელი რიგი ქვეყნები, მაგრამ ამავე დროს გაამწვავეს კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი. ეკონომიური კრიზისის საფრთხესა და ჩინეთის რევოლუციის დიდ გამარჯვებას ამერიკელმა იმპერიალისტებმა უპასუხეს მესამე მსოფლიო ომისათვის გაძლიერებული მზადებით. ასეთი მზადების ერთი რგოლია მთელი კორეის დაპყრობის გეგმა. მაგრამ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირმა ჯარისკაცებმა და ბრძოლაში უფრო გვიან ჩაბმულმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოხალისეებმა ეს გეგმა ჩაშალეს.

შეერთებულმა შტატებმა აშკარად დააყენეს დასავლეთ გერმანიის, იტალიისა და იაპონიის შეიარაღების საკითხი. ამჟამად ამერიკელი იმპერიალისტები, ეფარებიან რა დემოკრატიულ ფრაზებს, სათავეში უდგებიან მსოფლიო რეაქციას და რაზმავენ მთელ ძალებს, რომლებიც მათ შეუძლიათ გამოიყენონ მშვიდობის ფრონტის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან ერთად, როგორც ხაზგასმით აღნიშნა რაკოშმა, მწვავდება წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

ჩვენ, თქვა შემდეგ რაკოშმა, განსაკუთრებით გვაინტერესებს ბედი ორი ქვეყნისა, რომლებთანაც საუკუნეთა განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა,—ეს ქვეყნებია იუგოსლავია და გერმანია.

რაკოშმა აღნიშნა, რომ უნგრელი ხალხი, უნგრელი კომუნისტები დიდი სიმპათიით ადევნებდნენ თვალყურს იუგოსლავი ხალხის გმირულ ბრძოლას ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს. ჰიტლერელთა განადგურების შემდეგ დაისახა იუგოსლავ ხალხთან მშვიდობიანი და ძმური თანამშრომლობის იმედი. მაგრამ იუგოსლავიის ხელმძღვანელთა დანაშაულებრივმა პოლიტიკამ, რომლებმაც მოახერხეს დროებით მოეტყუებინათ იუგოსლავი ხალხი, იუგოსლავია მტრულ ბანაკს მიაკედლა.

ტიტოს ბანდა ჯერ კიდევ ცდილობს შეინიღბოს საზიზღარი სახე, განაგრძო რაკოშმა, რადგან იცის, რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობის გამორკვევის შემდეგ იუგოსლავი მშრომელი ხალხის უმრავლესობის ლონისძიებანი უფრო ძლიერ წარიმართება მის წინააღმდეგ. ამერიკელი იმპერიალისტები იძულებული არიან აგრეთვე ანგარიში გაუწიონ იმას, რომ იუგოსლავიის მშრომელი ხალხის წინააღმდეგობის გამო, ტიტოს გამცემლური ბანდის მდგომარეობა მტკიცე არ არის. ჩვენთვის ცნობილია ეს წინააღმდეგობა. ვიცით, რომ იუგოსლავი ხალხის მეტი ნაწილი აღშფოთებით უცქერის თავის ხელმძღვანელთა გამცემლობას, ეზიზღება დასავლეთელი იმპერიალისტები. ვიცით, რომ მისი სიმპათია მშვიდობის მძლავრი ბანაკის მხარეზეა, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირი—განმათავისუფლებელი საბჭოთა კავშირი, მისი სიმპათია თავისუფალი ჩინეთის, კორეის გმირი ჯარისკაცების მხარეზეა. ჩვენი სიმპათია იუგოსლავი პატრიოტების მხარეზეა, რომლებიც იბრძვიან ტიტოს ბანდის წინააღმდეგ, და ჩვენ არ გვეეჭვება, რომ ეს ბრძოლა ადრე თუ გვიან გამოიწვევს ტიტოსა და მისი ხროვის მოსპობას.

რაც შეეხება გერმანიას, თქვა მომხსენებელმა, ჩვენი სამშობლო თითქმის ათასი წლის მანძილზე გერმანიის დამპყრობლური გეგმების ობიექ-

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული რეზოლუციები

გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ

იმ ხალხთა ნების საწინააღმდეგოდ, რომელთა სახელითაც ხელმოწერილ იქნა გერმანიის განიარაღების შესახებ კატეგორიული გადაწყვეტილებების შემცველი ხელშეკრულებანი, წარმოებს მილიტარისტული და ნაცისტური ძალების აღორძინება. გერმანიის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო მრეწველობის ეს აღდგენა ახალი მსოფლიო ომის უაღრესად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს მშვიდობისმოყვარე ძალების ზრდას გერმანიაში და სამშვიდობო კონგრესის წარმატებას ესენში. იგი მიესალმება მშვიდობის ყველა მეგობარს გერმანიაში, რომლებიც ყველა მშვიდობისმოყვარე მიმდინარეობასთან ერთად ამზადებენ რეფერენდუმის მოწყობას. ეს რეფერენდუმი გამოხატავს გერმანელი ხალხის მისწრაფებას მისი ქვეყნის რემილიტარიზაციისა და ისეთი საზავო ხელშეკრულების დადების საკითხში, რომელიც მოწოდებულია ბოლო მოუღოს არსებულ სახიფათო მდგომარეობას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს ყველა იმ ქვეყანას, რომელსაც ყველაზე უფრო უშუალო საფრთხე მოელის, გაერთიანდნენ მძლავრი პროტესტის გამოსაცხადებლად, რათა მილიონობით მამაკაცმა და ქალმა აიძულონ თავიანთი მთავრობები დადონ მიმდინარე წელს საზავო ხელშეკრულება მშვიდობისმოყვარე და ერთიან გერმანიასთან, რომლის დემილიტარიზაციაც, რაც უზრუნველყოფილია საერთაშორისო შეთანხმებით, იქნება მშვიდობის საუკეთესო გარანტია ევროპაში.

იაპონიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ

მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მშვიდობის მსოფლიო საბჭო გადაჭრით გმობს იაპონიის რემილიტარიზაციას, რომელსაც ახორციელებს მაოკუპირებელი სახელმწიფო იაპონელი ხალხის ნების წინააღმდეგ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საჭიროდ მიაჩნია მოაწყოს იაპონიაში და აზიის, ამერიკისა და ოკეანიის დაინტერესებულ ქვეყნებში საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა იაპონიის რემილიტარიზაციისა და დემილიტარიზებულ მშვიდობისმოყვარე იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო გმობს ყოველგვარ ცდას დადებულ იქნას იაპონიასთან სეპარატული ზავი. მას მიაჩნია, რომ საზავო ხელშეკრულება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მოლაპარაკების საგანი უნდა იყოს, ხოლო შემდეგ მიღებულ უნდა იქნას ყველა დაინტერესებული ქვეყნის მიერ. საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ საოკუპაციო ჯარები დაუყოვნებლივ გამოყვანილ უნდა იქნან იაპონიიდან. იაპონელ ხალხს უნდა მიეცეს დემოკრატიული მშვიდობიანი არსებობის გარანტია.

ყველა აშკარა და საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია და დაწესებულება უნდა აიკრძალოს და მთელი მრეწველობა გადაყვანილ იქნას მშვიდობიან რელსებზე.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის მშვიდობის მეგობრებს, იაპონელ მეგობართა ჩათვლით, მშვიდობიანად შეიკრიბონ უახლოეს მომავალში მშვიდობის დაცვის რეგიონალურ კონფერენციაზე, რათა განახორციელონ იაპონიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა, რომ ამნაირად თავიდან ავიცილოთ ომის სერიოზული საშიშროება შორეულ აღმოსავლეთში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების გამო, რომელიც უსამართლოდ გმობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას როგორც „აგრესორს" კორეაში

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოაგონებს დამსწრეთ აგრესიის ცნების იმ განსაზღვრას, რომელიც მიიღო მშვიდობის მეორე მსოფლიო კონგრესმა: „აგრესორი ის სახელმწიფოა, რომელიც პირველი გამოიყენებს შეიარაღებულ ძალას მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ რაიმე საბაბით", და უსამართლოდ და უკანონოდ მიაჩნია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას აცხადებს „აგრესორად" კორეაში.

ეს გადაწყვეტილება სერიოზული დაბრკოლებაა კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის, იგი ქმნის შორეულ აღმოსავლეთში ომის გაფართოების საფრთხეს და ამით ახალი მსოფლიო ომის წარმოშობის საფრთხეს

მშვიდობის მსოფლიო საბჭო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოითხოვს გააუქმოს ეს გადაწყვეტილება.

კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ

კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოითხოვს დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ყველა დაინტერესებული ქვეყნის კონფერენცია.

ჩვენ მოვუწოდებთ მშვიდობისმოყვარე ადამიანებს ყველა ქვეყანაში მოსთხოვონ თავიანთ მთავრობებს მხარი დაუჭირონ ზემოაღნიშნული კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მტკიცედ იცავს იმ აზრს, რომ უცხოელი ჯარები გაყვანილ უნდა იქნან კორეიდან, რათა კორეელმა ხალხმა შეძლოს თვითონ გადაწყვიტოს თავისი საშინაო საქმეები.

დაიხურა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პირველი სესია

ბერლინი, 26 თებერვალი. (საკდეს). დღეს საღამოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის ჟან ლაფიტის (საფრანგეთი) თავმჯდომარეობით გაიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პირველი სესიის საბოლოო სხდომა.

ლაფიტი სიტყვას აძლევს საორგანიზაციო საკითხთა კომისიის მომხსენებელს დე შამბრენს (საფრანგეთი), რომელიც კითხულობს საორგანიზაციო საკითხებზე რეზოლუციის ტექსტს. ამ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საჭიროა ყოველმხრივი პოპულარიზაცია გაეწიოს მთელ მსოფლიოში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი მიმართვას", რომელიც მიღებულ იქნა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე. რეზოლუცია აგრეთვე წინადადებას აძლევს მშვიდობის მომხრეთა ეროვნულ კომიტეტებს გადადგან ნაბიჯი იმისათვის, რომ მათი ქვეყნების პარლამენტებში შეტანილ იქნას პროექტები კანონებისა მშვიდობის დაცვის შესახებ, ამასთან ეს ნაბიჯები გადადგმულ უნდა იქნას ხალხთა ფართო მასების მხარდაჭერით.

რეზოლუციაში, კერძოდ, მოწონებულია საფრანგეთ-ბელგიის საზოგადოების მიერ ევროპის იმ ქვეყნების ხალხთა კონფერენციის მოწვევა გერმანელი ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობით გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, რომელთა მთავრობებმაც ხელი მოაწერეს ჩრდილოეთ ატლანტიკურ პაქტს.

ლაფიტი რეზოლუციის კენჭისსაყრელად აყენებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრთა წინაშე. რეზოლუციას იღებენ ერთხმად. მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით მიესალმება ამ უმნიშვნელოვანესი რეზოლუციის მიღებას, რომლის განხორციელებამაც ხელი უნდა შეუწყოს მშვიდობის დაცვის მოძრაობის შემდგომ გაფართოებას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ატალი (ინდოეთი) — პოლიტიკური კომისიის მომხსენებელი ტრიბუნიდან კითხულობს რეზოლუციის ტექსტს კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

სესიის მონაწილენი ერთხმად იღებენ ამ რეზოლუციას (რეზოლუციის ტექსტი ზემოთ ქვეყნდება).

ტრიბუნაზე ადის ემი სიაო (ჩინეთი)—პოლიტიკური კომისიის მომხსენებელი, რომელიც აქვეყნებს რეზოლუციის ტექსტს იაპონიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრები ერთხმად იღებენ ამ რეზოლუციას (რეზოლუციის ტექსტი ზემოთ ქვეყნდება).

დარი (ამერიკის შეერთებული შტატები) აქვეყნებს რეზოლუციის ტექსტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების გამო, რომელიც უსამართლოდ გმობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას როგორც „აგრესორს" კორეაში. ამ რეზოლუციასაც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრები ერთხმად იღებენ (რეზოლუციის ტექსტი ზემოთ ქვეყნდება).

დ'არბუსიე (შავი აფრიკა) აქვეყნებს რეზოლუციის ტექსტს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში მშვიდობისათვის ბრძოლის შესახებ.

ამ რეზოლუციაში მშვიდობის მსოფლიო საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გააცრუა კოლონიური და დამოკიდებული ხალხების იმედები, და აღნიშნავს, რომ ბრძოლა მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში გადამწყვეტი ფაქტორია თვითგამორკვევის უფლებისათვის კოლონიური და დამოკიდებული ხალხების ბრძოლაში. რეზოლუციაში აგრეთვე ნათქვამია, რომ კოლონიური და დამოკიდებული ხალხების მიერ აგრესიისა, ჩაგვრისა და მათი თავისუფლების ჩახშობისათვის მზარდი წინააღმდეგობის გაწევა არსებითი წვლილია მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ყველა დამსწრე წევრი, უკლებლივ, ამ რეზოლუციას ხმას აძლევს ხელის აწევით.

აბატი ბულიე (საფრანგეთი) კითხულობს რეზოლუციას ჟურნალ „მშვიდობის" საკითხზე, რომელშიც ნათქვამია, რომ საჭიროა მიღწეულ იქნას ჟურნალის უფრო ფართო გავრცელება და მის მკითხველთა წრის გაფართოება. საბჭო სთხოვს პიერ კოტს (საფრანგეთი) იკისროს ჟურნალის ხელმძღვანელობა დიდ საერთაშორისო მოღვაწეთაგან შემდგარი კომიტეტის დახმარებით. რეზოლუცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა შეიცვალოს ჟურნალის ხასიათი და გადაიქცეს იგი მშვიდობის იდეების გავრცელების დიდ ორგანოდ.

ამ რეზოლუციას აგრეთვე ერთხმად იღებენ.

ბორსარი (ბრაზილია) კითხულობს რეზოლუციას მშვიდობის საერთაშორისო პრემიების შესახებ.

რეზოლუცია ადგენს მშვიდობის საერთაშორისო პრემიების მიკუთვნების ზუსტ წესს და წინადადებას იძლევა შეიქმნას მშვიდობის საერთაშორისო პრემიების საკითხთა ჟიური 1951 წლისათვის შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ნენი (იტალია), ვიცე-თავმჯდომარეები: მაო დუნი (ჩინეთი) და პიერ კოტი (საფრანგეთი), წევრები: ვასილევსკაია (სსრ კავშირი), მუკარჟოვსკი (ჩეხოსლოვაკია), კოსამბი (ინდოეთი), ჰიულეტ ჯონსონი (ინგლისი), ეფჰაუსი (ამერიკის შეერთებული შტატები), ლუნდკვისტი (შვეცია), ჰარა (მექსიკა), ვაიგელბრეხტი (გერმანია), ელ-ბენდარი-ფაშა (ეგვიპტე), პეტრაშენკო (პოლონეთი), დ'არბუსიე (შავი აფრიკა), პიკასო (ესპანეთი).

რეზოლუციას მშვიდობის მსოფლიო საბჭო ერთხმად იღებს.

შემდეგ ფერნან ვიენი (საფრანგეთი) აქვეყნებს რეზოლუციის ტექსტს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ. რეზოლუცია აღნიშნავს, რომ ამჟამად ხალხთა ნების საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს გერმანიის რემილიტარიზაცია. მშვიდობის მსოფლიო საბჭო ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალები იზრდებიან და ამზადებენ რეფერენდუმის მოწყობას, რომელმაც უნდა გამოხატოს გერმანელი ხალხის ნება გერმანიის რემილიტარიზაციისა და საზავო ხელშეკრულების დადების საკითხზე. მშვიდობის მსოფლიო

(დასასრული მე-4 გვერდზე)

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პირველი სესია

(დასასრული)

საბჭო იმისაკენ მოუწოდებს, რომ მსოფლიოს ხალხებმა აიძულონ თავიანთი მთავრობები დადონ მიმდინარე წელს საზავო ხელშეკრულება მშვიდობისმოყვარე და ერთიან გერმანიასთან.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო ერთხმად იღებს ამ რეზოლუციას (რეზოლუციის ტექსტი ზემოთ ქვეყნდება).

ღე შამბრენმა (საფრანგეთი) მოაგონა სესიის მონაწილეებს, რომ ვარშავის კონგრესმა მითითება მისცა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გააფართოოს თავისი შემადგენლობა, რის გამო შეიტანა მთელი რიგი წინადადებანი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს შემადგენლობაში ახალ წევრთა შეყვანის შესახებ. ღე შამბრენმა წაიკითხა საბჭოს წევრობის კანდიდატთა შემდეგი სია:

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ახალ წევრთა სია

ინგლისი

კერნანი, კროუფორდი, ბრაუნი, დუნკან ჯონსი.

არგენტინა

ქ-ნი ჰერარდო სკოლამიერი.

ბელგია

იზაბელა ბლუმი, კავენელი.

გერმანია

ფრიდრიხი, ბერტოლდ ბრეხტი, რაინაუ, ვილწანი, კრიუგერი.

დანია

ქ-ნი აპელი.

ირლანდია

დოქტორი ჯეფერსი.

ირანი

ხორმოზი, ბორგაი.

იტალია

მარიო ვალორი, ბერლინგუერი.

ჩინეთი

მაო დუნი, მეი ჟუ-აო, ჩენ ჰან-ჩენი.

ლუქსემბურგი

ბირმანი.

სირია

დინ-ეზ-ზაიმი.

ამერიკის შეერთებული შტატები

კენარდი.

ტაილანდი

კულარპ საი, პრადიტი, ფეტაი ჩოტინუჩიტი, სამაკ ბურავასი.

საფრანგეთი

ქერარ ღე ბერნი, ჟაკ დენი.

ჩეხოსლოვაკია

გრომადკა.

იაპონია

იოსიტარო ხირანო, სუმიო ტაკაკუვა, სუკეხარუ იოსიდა, კეიან კუმაკურა, ტოკუსაბურო ტანი, ტაცუო მასუდა, ქ-ნი ფუკო კუსიდა

სესიის მონაწილენი მქუხარე ტაშით მიესალმებიან მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის უმაღლესი ორგანოს ახალ წევრებს.

ღე შამბრენმა გამოაქვეყნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს კანდიდატთა შემდეგი სია:

მაო დუნი (ჩინეთი), ფრიდრიხი (გერმანია), იზაბელა ბლუმი (ბელგია), სტოვერი (ამერიკის შეერთებული შტატები), იკო ოიამა, ხირანო (იაპონია), ტიხონოვი (სსრ კავშირი), გრომადკა (ჩეხოსლოვაკია), ტაბეტი (ლიბანი).

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრები ერთხმად ირჩევენ დასახელებულ კანდიდატურებს.

ამის შემდეგ ღე შამბრენის წინადადებით მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს კანდიდატურების შესახებ: წინადადება მიეცეს ინგლისს, ბელგიას, საფრანგეთს, იტალიას, შვეციას, არგენტინას, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს დანიშნონ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს მდივნები.

თავის საბოლოო სიტყვაში თავმჯდომარე ლაფიტმა შეეხო იმ ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელობას, რომლებიც მიღებულ იქნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიერ, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისინი ახლა მშვიდობის მომხრეთა მოღვაწეობის საფუძველია მსოფლიოს ყველა ნაწილში. მან მოუწოდა მშვიდობისათვის მებრძოლთ დაუყოვნებლივ შეუდგნენ ომის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების დარგში მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას და უსურვა მათ წარმატება ამ გრანდიოზული ამოცანების განხორციელებაში.

ლაფიტი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პირველ სესიას დახურულად აცხადებს.

კამათი ივ ფარჟის მოხსენების გამო

23 თებერვლის დღის სხდომა

როზერ შამბეირონის სიტყვა

საფრანგეთის წარმომადგენელი, დეპუტატი როზერ შამბეირონი თავის სიტყვაში შეეხო იმ ამოცანებს, რომლებიც ამ ეტაპზე დგას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის წინაშე.

საფრანგეთის მთავრობის მონურმა პოლიტიკამ, თქვა მან, მისმა განუყრელმა კავშირმა ამერიკელი იმპერიალისტების ავანტიურისტულ პოლიტიკასთან, ამერიკის ჯარების დამარცხებამ კორეაში, აგრეთვე მშვიდობის დაცვის მოძრაობის უდავო წარმატებებმა — ყოველივე ამან აიძულა ბევრი ფრანგი მოქალაქე დაესვა კითხვა: კატასტროფისათვის თავის დაღწევის ყველაზე უტყუარი საშუალება ის ხომ არ არის, რომ უარვყოთ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის პოლიტიკა.

ჩვენი საორგანიზაციო კომისია მუშაობს ჩვენი მოძრაობის გაფართოების საკითხზე. უკვე დამყარებულია კავშირი ცალკე დაჯგუფებებთან, ორგანიზაციებთან და სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლებთან, რომლებიც აღფრთოვანებული არიან ერთი და იმავე მისწრაფებით — იხსნან მშვიდობა.

მშვიდობა შეესაბამება აგრეთვე საფრანგეთისა და ინგლისის ინტერესებს, საფრანგეთისა და ინგლისისა, რომლებმაც ერთი თაობის მანძილზე ორჯერ განიცადეს ნგრევა მსოფლიო კონფლიქტების შედეგად. მშვიდობა შეესაბამება შეერთებული შტატების ხალხთა ინტერესებსაც, რომლებისთვისაც მომავალი ომი იქნება არა თავგადასავალი შორეულ ქვეყნებში, არამედ კატასტროფა მათს საკუთარ სახლში.

ახლა ცხადია, თქვა ინფილდმა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სულ უფრო იქცევა აგრესიის იარაღად.

მთელი მსოფლიოს ხალხებმა მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში იმედი გაკოტრებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას კი არ უნდა დაამყარონ, არამედ საკუთარ სულ უფრო მზარდ ძალებს—მშვიდობის ძალებს. მშვიდობის საქმე ხალხებმა თავიანთ ხელში უნდა აიღონ.

პროფესორ ლეოპოლდ ინფილდის გამოსვლა

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრმა პროფესორმა ლეოპოლდ ინფილდმა (პოლონეთი) თავის სიტყვაში აღნიშნა მშვიდობის დაცვის მოძრაობის ზრდა. ეს მოძრაობა, თქვა მან, სულ ახალ და ახალ მომხრეს იზიდავს. ისინი მოდიან ჩვენთან, რადგან ჩვენ მიერ გამოცხადებული სიმართლე მარტივი და გასაგებია, რადგან ჩვენი ხმა გულში სწვდება უბრალო ადამიანებს.

ინფილდი შეეხო ომის გამჩაღებელთა არგუმენტებს და განაცხადა:

ჩვენ ბრალად გვდებენ, რომ თითქოს სამშვიდობო მოძრაობის ნიღაბაფარებულნი ნამდვილად რუსეთისათვის ვმუშაობდეთ. მაგრამ ჩვენი მოწინააღმდეგენი არცთუ იმდენად ზრუნავენ ლოგიკისათვის. თვით ამ არგუმენტის ფორმულირება შეიცავს აზრს, რომ მშვიდობა საბჭოთა კავშირის ინტერესებს შეესაბამება. ეს სიმართლეა! მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია სიმართლისა. მშვიდობა მარტო საბჭოთა კავშირის ინტერესებს როდი შეესაბამება, მშვიდობა შეესაბამება პოლონეთის ინტერესებს, რომელიც აღადგენს თავის დანგრეულ ქალაქებსა და სოფლებს და ახორციელებს დიად ექვსწლიან გეგმას.

მარიო მონტეზის გამოსვლა

მარიო მონტეზიმ (იტალია) განაცხადა, რომ იგი გამოდის როგორც იტალიის მრავალრიცხოვანი საშუალო კლასის—კომერსანტების, მოსამსახურეების, ხელოსნების წარმომადგენელი. ეს ადამიანები უკანასკნელ ხანამდე, თქვა მონტეზიმ, ცუდად ერკვეოდნენ ვითარებაში და სჯეროდათ ომის გამჩაღებელთა პროპაგანდა. მაგრამ ახლა ამ ბრმათაგან ბევრს თვალი აეხილა, ბევრს, რომელიც დღემდე ყრუ იყო, სმენა მიეცა.

მონტეზიმ ილაპარაკა იტალიელ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმატებებზე, რომელსაც უდიდესი გაქანება ეძლევა.

პროფესორ გრომადკას სიტყვა

ჩეხოსლოვაკიელი პროფესორი გრომადკა დაწვრილებით შეეხო იმ ამოცანებს, რომლებიც დგას ყველა ქრისტიანის წინაშე მშვიდობისათვის ბრძოლაში. ყველა ქვეყნის ქრისტიანთა ეკლესიებმა, თქვა მან, ნათლად და არაორაზროვნად უნდა განსაზღვრონ თავიანთი პოზიცია შორეული აღმოსავლეთის პრობლემებში, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის საკითხში.

გრომადკამ აღნიშნა, რომ ქრისტიანთა ეკლესიებს დასავლეთ ქვეყნებში თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ შორეული აღმოსავლეთის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის. ეკლესიას არ შეუძლია მდუმარე იყოს არც დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის საკითხში.

ხოსე ლუის მასერას სიტყვა

ურუგვაის წარმომადგენელმა მათემატიკოსმა ხოსე ლუის მასერამ განაცხადა, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საკითხის გადაჭრა ამჟამად დამოკიდებულია გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციის საკითხის გადაჭრაზე.

ლათინური ამერიკის ქვეყნების მშვიდობისმოყვარე მოსახლეობა შეშფოთებულია ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალი თათბირით, რომელიც გაიმართება ვაშინგტონში 26 მარტს.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ამჟამად ძლიერდება მშვიდობის მომხრეთა საქმიანობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, თქვა მასერამ, რომ შესაძლებელი გახდება უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ ურუგვაიში მშვიდობისათვის ბრძოლა. ჩავშალოთ სამხარი მზადება, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ეწევიან ამერიკის შეერთებული შტატები, და ამით შევიტანოთ წვლილი მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

ვიაინე მელტის სიტყვა

დღის სხდომის ბოლოს კამათში გამოვიდა ვიაინე მელტი (ფინეთი). მან აღნიშნა, რომ ომის პროპაგანდა მის ქვეყანაში, ისევე როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, დღითიდღე უფრო ინტენსიური ხდება. ეს პროპაგანდა, რომელსაც მსხვილი კაპიტალისტები და მათი ლაქიები ეწევიან, ვრცელდება პრესის, რადიოს და კინოს საშუალებით.

მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა, განაგრძო მელტიმ, მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობა ფინეთში სულ უფრო ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს მოსახლეობის სულ სხვადასხვა წრეში. ამას მოწმობს მრავალი ხელმოწერა, რაც შეგროვებულ იქნა სტოკჰოლმის მოწოდებაზე.

გასული წლის შემოდგომაზე გამართულმა მშვიდობის მომხრეთა ფინეთის მეორე კონგრესმა გააერთიანა ფინეთის ყველა კუთხიდან ჩამოსული ფინელი ხალხის სხვადასხვა ფენის მრავალი წარმომადგენელი.

ამჟამად მშვიდობის მომხრენი ადგენენ კანონპროექტს ომის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ, იმ ანგარიშით, რომ იგი განსახილველად წარედგინოს პარლამენტს. მიმდინარე წლის მარტიდან მშვიდობისათვის მებრძოლნი შეუდგებიან თავისი გაზეთის გამოცემას, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის შემდგომ გაფართოებას ფინეთში.

ამით დამთავრდა სესიის დღის სხდომა.

24 თებერვლის დილის სხდომა

ბერლინი, 24 თებერვალი (საკდესი). 24 თებერვლის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ივ ფარჟის მოხსენების გამო. მწერალი ა. ა. ფადეევი, რომელმაც დამსწრეთა ტაშის გრიალში დაიკავა თავმჯდომარის ადგილი, სიტყვას აძლევს პროფესორ ერიხ რაინაუს (ლეიპციგი?, დასავლეთი გერმანია).

პროფესორ ერიხ რაინაუს სიტყვა

(დასავლეთი გერმანია)

თავის სიტყვაში რაინაუ შეეხო დასავლეთ გერმანიის გლეხობის მდგომარეობას. მან აღნიშნა, რომ ადენაუერის მთავრობას საზღვარგარეთიდან ისეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოზიდვით, რომლების მიწოდებაც საკმაო რაოდენობით შეუძლია დასავლეთ გერმანიის გლეხობას, კატასტროფისაკენ მიჰყავს დასავლეთ გერმანიის სოფლის მეურნეობა. დასავლეთ გერმანიის ხელისუფლენი ყოველნაირად უშლიან ხელს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გლეხთა თანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას.

დასასრულ, აღნიშნა რა გლეხობის მისწრაფება მშვიდობის შენარჩუნებისა და უზრუნველყოფისაკენ, რაინაუმ იმედი გამოთქვა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს შეუძლია დიდად შეუწყოს ხელი მთელი კაცობრიობისათვის ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას.

დოქტორ ატალის გამოსვლა

(ინდოეთი)

ინდოეთის წარმომადგენელმა დოქტორმა ატალმა ილაპარაკა ინდოეთში მშვიდობის დაცვის კომიტეტების მოღვაწეობაზე.

ატალმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიამ კორეაში დიდი პროტესტი და სერიოზული ანტიამერიკული განწყობილება გამოიწვია მთელ ინდოეთში. ადამიანები ინდოეთში, თქვა ატალმა, მკვეთრ კონტრასტს ხედავენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას შორის. მათ შეიტყვეს, რომ სსრ კავშირში ყველა ადამიანი თანასწორია, განურჩევლად კანის ფერისა, რომ იქ ადამიანს აფასებენ იმის მიხედვით, თუ თვითონ რას წარმოადგენს, და არა მისი კანის ფერის ან იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც მას შემთხვევის ან წარმოშობის გამო უკავია, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია. მათ იციან, რომ როგორც კი სსრ კავშირში ხელისუფლებას სათავეში ხალხი ჩაუდგა, ყველა ხალხმა, რომლებიც მეფემ მონებად გახადა, თავისუფლება მიიღო და არა მარტო თავისუფლება მიიღო, არამედ მათ დაებმარნენ ფეხზე დამდგარიყვნენ.

ირანში საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ გაიყვანა ჯარები ირანის ჩრდილოეთი ნაწილიდან, ჩინეთში გააუქმა მეფის მიერ თავსმოხვეული არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები, ხოლო თავის ქვეყანაში საბჭოთა ხალხმა ბოლო მოუღო ერთი კლასის მიერ მეორე კლასის ექსპლოატაციას. ხალხს, რომელიც ასე იქცევა, თქვა ატალმა, არ შეუძლია ემზადოს ომისათვის. ატალმა აღნიშნა ფართო კამპანია მშვიდობის დასაცავად, რომელსაც სსრ კავშირში ახორციელებენ, და იკითხა, განა ქვეყანა, რომელიც ომს ამზადებს, ასეთ კამპანიას გასწევს?

ლიბანის წარმომადგენლის ანტუან ტაბეტის გამოსვლა

ანტუან ტაბეტი (ლიბანი) თავის სიტყვაში შეეხო ახალი ომის მზადებას, რასაც ამჟამად ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები აწარმოებენ ახლო აღმოსავლეთში და, კერძოდ, სირიასა და ლიბანში.

ტაბეტმა აღნიშნა, რომ გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციის საკითხი თითქოს უშუალოდ არ ეხება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობის ინტერესებს. მაგრამ მათ მშვენივრად ესმით, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს მთელი კაცობრიობისათვის ამ ქვეყნების რემილიტარიზაცია. ჩვენს ხალხებს, თქვა მან, შეგნებული აქვთ, რომ რემილიტარიზაცია გერმანელი და იაპონელი ხალხების თავისუფლების დაღუპვას ნიშნავს. სამთა დეკლარაციამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების შეიარაღების შესახებ დაანახვა ჩვენს ხალხებს, რომ იმპერიალისტები, ჩვენ რომ გვაიარაღებენ, ნამდვილად ცდილობენ მთლიანად დაგვიმორჩილონ და თავიანთი სამხედრო მოქმედების განხორციელებაში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყნები.

შემდეგ ტაბეტმა დაწვრილებით ილაპარაკა ლიბანსა და სირიაში მშვიდობის დაცვის მოძრაობის ზრდაზე, მოძრაობისა, რომელსაც განსაკუთრებით ფართო გაქანება მიეცა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნებში დაბრუნდნენ მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის დელეგატები.

სირიასა და ლიბანში ომის საწინააღმდეგო განწყობილების მკაფიო გამოვლინება იყო ის „შეხვედრა", რომელიც ბეირუთისა და დამასკოს მცხოვრებლებმა გენერალ რობერტსონს მოუწყეს. სახალხო დემონსტრაციების მონაწილენი გულისწყრომით მოითხოვდნენ, რომ ომის გამჩაღებელ რობერტსონს დაეტოვებინა ახლო აღმოსავლეთი, რადგან ახლო აღმოსავლეთის ხალხებს არა სურთ, რომ მათი ქვეყნების ტერიტორიები ახალი ომის ასპარეზად გადაიქცეს.

ჩინეთის წარმომადგენლის მეი ჟუ-აოს სიტყვა

შემდეგ ილაპარაკა დოქტორმა მეი ჟუ-აომ (ჩინეთი), შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალში ჩინეთის ყოფილმა წარმომადგენელმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა სამხედრო დამნაშავეთა ტოკიოს პროცესში. მეი ჟუ-აო შეეხო ორ საკითხს: იაპონიის რემილიტარიზაციის საკითხს და ომის პროპაგანდის აკრძალვის საკითხს.

მეი ჟუ-აომ დაწვრილებით დაასურათა იაპონელი მილიტარისტების მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულობანი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს ახლა მკვდრეთით აღადგინოს იაპონიის ძველი საიმპერატორო არმია—ამ დანაშაულობათა მიზეზი. უოლ-სტრიტის მონოპოლისტები, თქვა მან, განზრახ ივიწყებენ იაპონელი სამხედრო ხროვის საზარელ მოქმედებას, რადგან მოგების მისაღებად მათ სწორედ ამ იაპონელი სამხედრო ხროვის დახმარება ესაჭიროებათ.

მსოფლიოს ხალხებს, თქვა მეი ჟუ-აომ, არა სურთ ომი. უბრალო ადამიანთა სასარგებლოდ ჩვენ მტკიცედ უნდა ვიბრძოლოთ ომის პროპაგანდის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ყველა ქვეყნის მთავრობებისა და პარლამენტებისაგან—სასწრაფოდ მიიღონ კანონები, რომლებითაც აიკრძალება ყველა სახის ომის პროპაგანდა და გათვალისწინებული იქნება სასჯელი ომის ყველა გამჩაღებლისათვის.

უცხოეთის გამოხმაურება დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტის გამო

პოლონეთი

ვარშავა, 26 თებერვალი (საკდესი). პოლონეთის ყველა გაზეთმა დღეს გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის ნოტა დიდი ბრიტანეთის მთავრობის ნოტის პასუხად.

გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ" გამოქვეყნებულ ნოტას შემდეგ სათაურს უკეთებს: „სამარცხვინო ანტისაბჭოთა კამპანია, რასაც ინგლისში ლეიბორისტული მთავრობა ახორციელებს, მიმართულია ინგლისელ ხალხსა და სსრ კავშირის ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის შესუსტებისაკენ".

გაზეთი „ჟიცე ვარშავი" სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, არღვევს რა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას, დიდი ბრიტანეთის მთავრობა აწარმოებს აგრესიის პოლიტიკას.

საბჭოთა მთავრობის ნოტის ტექსტს გაზეთი „შტანდარდ მლოდიხი" ათავსებს სათაურით: ინგლისის მთავრობის მიერ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დარღვევა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მშვიდობის დაცვის საქმეს. საბჭოთა მთავრობა მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება, რადგან ისწრაფვის ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

ვარშავის რადიომ გადასცა ტექსტი საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტისა დიდი ბრიტანეთის მთავრობის ნოტაზე „ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მისი თანამონაწილეების წინააღმდეგ ომში მოკავშირეობისა და ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ" ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის 26 მაისის ხელშეკრულების დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ დარღვევის საკითხზე.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 26 თებერვალი. (საკდესი). უნგრეთის დეპეშათა სააგენტომ მტი-მ დღეს დილით თავის ბიულეტენში გამოაქვეყნა სრული ტექსტი საბჭოთა მთავრობის 1951 წლის 24 თებერვლის ნოტისა დიდი ბრიტანეთის ნოტის პასუხად.

უნგრეთის რადიომ დღეს სამჯერ გადასცა ნოტის დაწვრილებითი შინაარსი და მისი ნაწყვეტები.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 26 თებერვალი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტას, რომელიც შეიცავს უდავო ფაქტებსა და იმის დამამტკიცებელ საბუთებს, რომ დიდი ბრიტანეთი არღვევს 1942 წელს ხელმოწერილ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას, რომ საბჭოთა მთავრობა ახორციელებდა, ახორციელებს და კვლავაც განახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდა.

ჩეხოსლოვაკიაში გაზეთები ორშაბათობით არ გამოდის და საერთაშორისო ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიცაა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი, მოსახლეობას აუწყა პრაღის რადიომ, რომელმაც ორჯერ გადასცა საბჭოთა ნოტის დაწვრილებითი შინაარსი.

რუმინეთი

ბუქარესტი, 26 თებერვალი. (საკდესი). დღეს ბუქარესტში გამოვიდა მხოლოდ ერთი სალამოს გაზეთი „ვიაცა კაპიტალეი". დანარჩენი გაზეთები დღეს არ გამოდის.

გაზეთმა „ვიაცა კაპიტალეიმ" სრულად გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი სათაურით: „საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებით".

ბუქარესტის რადიომ ორჯერ გადასცა დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი საბჭოთა ნოტის ტექსტი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

პრაღა, 27 თებერვალი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე შინაპარტიული საკითხების შესახებ მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილემ იოზეფ ფრანკმა.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა პარტიის წევრთა და კანდიდატთა შემოწმებაზე და ძველი პარტიული დოკუმენტების ახლით შეცვლაზე, რაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიაში მიმდინარეობს. ამ შემოწმებას, თქვა ფრანკმა, ხელი უნდა შეეწყო პარტიის შემდგომი განმტკიცებისათვის, მისი იდეოლოგიური ერთიანობის გაძლიერებისათვის, მისი მუშაობის უნარის ამაღლებისათვის; მას ხელი უნდა შეეწყო იმისათვის, რომ პარტიამ უფრო წარმატებით უხელმძღვანელოს მუშათა კლასსა და ყველა მშრომელს სოციალიზმის გამარჯვებისათვის დიად ბრძოლაში. ამ შემოწმებას უფრო უნდა დაეახლოვებინა ჩვენი პარტია ჩვენს დიდ ნიმუშთან—საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან (ბოლშევიკებისა).

ფრანკმა მოიყვანა შემოწმების წინასწარი ცნობები ა. წ. 9 თებერვლისათვის. ამ ცნობების მიხედვით შემოწმებულ იქნა პარტიის 1.846.957 წევრი და კანდიდატი. ამ რაოდენობიდან შემოწმებულად ითვლება პარტიის 1.677.442 წევრი და კანდიდატი.

აღნიშნა რა ნაკლოვანებანი პარტიის წევრთა და კანდიდატთა შემოწმების მსვლელობაში, ფრანკმა განაცხადა, რომ ეს ნაკლოვანებანი შეერმოვას მოღალატური საქმიანობის შედეგია.

მაგრამ, მიუხედავად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა, თქვა ფრანკმა, შემოწმება პარტიის დიდი პოლიტიკური კამპანიაა, რომლის შედეგი იქნება დიდი წვლილი პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის გზაზე. შემდეგ ფრანკმა აღნიშნა აგრეთვე შემოწმების სხვა დადებითი მხარეები, კერძოდ, სიფხიზლის გაძლიერება კლასობრივი მტრისა და მისი აგენტების მიმართ.

ფრანკის მიერ მოყვანილი წინასწარი ცნობების თანახმად, უკანასკნელი შემოწმების მსვლელობაში პარტიის რიგებიდან გარიცხულთა რაოდენობა სულ შეადგენს წევრთა და კანდიდატთა 1,3 პროცენტს, სიებიდან ამოშლილთა რაოდენობა — 7,1 პროცენტს.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო შინაპარტიული მუშაობის სხვა მხარეებს.

დასასრულ ფრანკმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია ამჟამად იწყებს ახალი წევრების მიღებას.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 27 თებერვალი (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ფრონტის ცენტრალურ უბანზე სახალხო არმიის ნაწილები მოწინააღმდეგესთან ბრძოლების მსვლელობაში დიდ ზარალს აყენებენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

სახალხო არმიის ნაწილებმა, რომლებიც ხენსონის (ოძიო), სამხრეთით მდებარე რაიონში მოქმედებენ, სერიოზული დარტყმები მიაყენეს ლისინმანელთა მე-9 დივიზიას. მოწინააღმდეგემ მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგა რამდენიმე ასი ჯარისკაცი და ოფიცერი და ტყვეთა სახით 400 კაცი. მოსპობილია მოწინააღმდეგის 30 ავტომანქანა. წამოღებულია დიდი დავლა.

26 თებერვალს სახალხო არმიის ნაწილებმა სეულის რაიონში მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

საქართველოს XXI საჭადრაკო ჩემპიონატი

მეთორმეტე [illegible] თავრდა ი. კლიაცკინ-მ. ინწკირველის პარტია. მ. ინწკირველმა სუსტად გაითამაშა დებიუტი და მე-14 სვლაზე თავი დამარცხებულად სცნო.

საინტერესო ბრძოლა გაიმართა ო. ელიოზიშვილის პარტიაში მ. შიშოვთან. როდესაც ო. ელიოზიშვილმა მოგების რეალური შანსები მიიღო, გადაჭარბებული სიფრთხილით დაიწყო მანევრირება. მ. შიშოვმა შეძლო თავდაცვის მოწყობა და პარტია ყაიმით დამთავრდა.

დ. ჩირაძე, რომელიც ბ. გურგენიძესთან თამაშობდა, ცაიტნოტში მოხვდა და 39-ე სვლაზე იძულებული გახდა თავი დამარცხებულად ეცნო.

თ. გიორგაძემ ი. კრიხელთან მწვავე დებიუტის შედეგად მოიგო პაიკი, მაგრამ მალე, ფიგურების ჩქარი განვითარების მიზნით, იძულებული იყო უკანვე დაებრუნებინა იგი. შემდეგ პოზიცია გამარტივდა და მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ა. ბლაგიძემ პარტიის დასაწყისში პაიკი შესწირა ნ. სოროკინს და მიიღო აქტიური პოზიცია, რომლის გაძლიერება შემდეგში შეუძლებელი აღმოჩნდა, და პარტია ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

თორმეტი ტურის შემდეგ მ. შიშოვს აქვს 9½ ქულა, ნ. სოროკინს — 8½ (ერთი გადადებული), ბ. გურგენიძეს და ა. ბლაგიძეს — 8½ ქულა თითოეულს, ვ. ქარსელაძეს — 6½ (ერთი გადადებული), თ. გიორგაძეს — 6, ა. ბუსლაევს — 5½ ქულა (ერთი გადადებული).

ქალთა პირველი სპარტაკიადა

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის საქალაქო კომიტეტი საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტთან ერთად მიმდინარე წლის 4-დან 18-მარტამდე აწყობს ქალთა პირველ სპარტაკიადას, რომელიც მიეძღვნება ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ უმაღლეს სასწავლებელთა ყველა ფიზკულტურული კოლექტივი და ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა ნაკრები გუნდები, რომლებიც დაკომპლექტებული იქნება საწარმო-დაწესებულებებში მომუშავე სპორტსმენი ქალებით, აგრეთვე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებისა და რკინიგზის სკოლების ნაკრები გუნდები.

სპარტაკიადის მთავარი მსაჯია სპორტის დამსახურებული ოსტატი ნინო დუმბაძე.

სამეცნიერო კონფერენცია

1-3 მარტს საღამოს 8 საათიდან ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (უნივერსიტეტის ქ. № 32) მოეწყობა საბჭოთა საქართველოს 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ ერევნის ა. ა. ჟდანოვის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის და ბაქოს ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები.

სამეცნიერო სესია

1-5 მარტს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 30 წლისთავისადმი.

სამეცნიერო სესია გაიხსნება 1 მარტს (სააქტო დარბაზში) დღის 3 საათზე. შესავალ სიტყვას წარმოთქვამს უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. კეცხოველი.

სესიაზე მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები სექციების მიხედვით. იმუშავებენ ფიზიკა-მათემატიკის, გეოგრაფია-გეოლოგიისა და ბიოლოგიის, ისტორიისა და ფილოსოფიის, ფილოლოგიის, იურიდიული, ეკონომიური და ქიმიის სექციები.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

2 მარტს

6.45 — უვერტიურები. 9.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 10.30—ნაწყვეტი ალ. ქუთათელის რომანიდან: „პირისპირ". 17.10—კონცერტი პატნიცკის სახელობის გუნდის შესრულებით. 18.15 — კამერული მუსიკა. 18.30—სპორტული გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.00—გადაცემა ციკლიდან: „მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხები". 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით—საუბარი: „ლიმონის კულტურა კასრებში", ქალაქის ქსელით—საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 20.45 — ბეთჰოვენის სონატა. 21.10—საუბარი: „საბჭოთა გლეხობა კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელია". 21.55—შ. მშველიძის სიმფონიური პოემა: „ზვიადაური". 22.40—ალ. მირცხულავას პოემა: „რუსთავი". 23.00 — ნაწყვეტები ჩაიკოვსკის და რიმსკი-კორსაკოვის ოპერებიდან. 24.00—პოპულარული მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — „თბილისელი ქალიშვილი" (პრემიერა); **მარჯანიშვილის სახელობის** — „მარინე"; **გრიბოედოვის სახელობის** — „უკანასკნელნი" (მე-7 აბ.); **სომხური დრამის** — „საიათნოვა"; **მუსიკალური კომედიის**—„მხიარული ქვრივი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ნათელი გზა" (25-ე აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„ბიძია თომას ქოხი" (43-ე აბ. დღის 10 ს.), „სამი მუშკეტერი" (146-ე აბ. 7 ს.); **ხანკულტურის**—„საპატიო სტუმარი".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი", „სპარტაკი", „იასნი"—„გაზაფხული ყინულზე"; „კოლმეურნე"—„ორთა ბრძოლა"; „დიდუბე"—„მალაპაგის კედლებთან".

უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები იუწყებიან **შალვა სოსლანის-ძე ჩხვიმიანის** გარდაცვალებას.

ძმა ვასილ ყიფშიძე, რძალი ნატალია, ძმისწულები ნინო, ქეთო, გიგა და ლენა იუწყებიან **გიორგი გრიგოლის-ძე ყიფშიძის (ფრონტისპირელის)** გარდაცვალებას პანაშვიდი 1, 2-III, 7 ს. გამოსვენება 3-III, 5 ს. კალინინის, 10.

რ. მელაძე, გ. მანჯგალაძე, ი. ასათიანი, ვ. პეტროსიანი, ვ. პიტოევი, ვ. მელაძე, ვ. ჯიბლაძე, ს. კარსანიძე, ა. ჯაფარიძე, ნ. ახობაძე, ქ. ნადარეიშვილი, პ. დოპვერი იუწყებიან **ვიქტორ კონსტანტინეს-ძე მხეიძის** გარდაცვალებას.

ქ. თარგამაძე, ლ. ჩიხლაძე, ა. ჩხეტიანი, გ. აბრამაშვილი, გ. ავალიანი, ს. ნათელაშვილი, ვ. მჟავანაძე, პ. ჩხაიძე, გ. მაღლაკელიძე, ბ. ცხომელიძე, მ. რუხაძე, ა. ზირაქიშვილი, ა. ჯინჭველაძე თანაგრძნობას უცხადებენ ე. ჰყონიას მისი დედის **ანეტა ლუარსაბის ასულ ჰყონიას** გარდაცვალების გამო.

ბიძები დათა, მიხეილ, ბიცოლები ტასო, ნატა, ბიძაშვილები აკაკი, პეტრე, ზინა, ქსენია, შალვა, ვანო, თამარ ოჯახებით, ქეთო, ნორა, თინა მეგრელიშვილები იუწყებიან **აპოლონ ნანიკოსძე გოგოლაძის** გარდაცვალებას.

ა. კაკუშაძე, მ. სიხარულიძე, დ. გოგიძე, გ. ჩანკვეტაძე, ნ. ფანცულაია, პ. იაკუბოვი, თ. ბახტაძე, ნ. აბრამაშვილი, ა. ჩერნომორდიკი, ბ. ბილიხოძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ე. ჰყონიას მისი დედის **ანეტა ლუარსაბის ასულ ჰყონიას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე მალქა, შვილები რაფიელ, მიხეილ, სიმა, ლოლა, თამარ, მარო, ძმა ისაკ, სიძეები ი. ბენიაშვილი, ბ. მიხელაშვილი, დისწული ეფრემ ოჯახით იუწყებიან **სიმონ მიხეილის-ძე ეფრემაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-III ცხაკაიაში.

მეუღლე ასმათ, შვილები ბენო, მიშა, ეთერ, რძალი ნათელა, შვილიშვილი ზურაბ, ძმა ნუგზარ, და დარო იუწყებიან **ანდრო ქაიხოსროსძე დუდაურის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-III, 5 ს. ახალი სანაპიროს, 3.

მეუღლე ვალენტინა, შვილები ნინო, ვახტანგ, ლენა, და ვერა, ძმები აკაკი, ვარლამ ოჯახებით სიდედრი ელენე გორდონი იუწყებიან, რომ 4-III, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ბაგრატ ივანეს-ძე მაჯაგალაძის** პანაშვიდი.

მეუღლე სათო, შვილები ფატი, ბაგრატ, მერი, ნელი, სიძე ვრიშა ასათიანი, რძალი ანიკო, შვილიშვილები ნათელა, გიგი იუწყებიან, **გეურქ გრიგოლის-ძე ნავასარდოვის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III, 4 ს. საგარეჯოში.

მ. დათეშიძე, თ. იოსელიანი, ტ. კალანდაძე, ლ. დვალი, ნ. შარაშენიძე იუწყებიან **მარიამ გიორგის ასულ ბერიძის** გარდაცვალებას.

ნ. ვეშაპელი, ნ. პიპინაძე, ლ. ალადაშვილი, თ. შიუკაშვილი, ნ. მიხინაშვილი, ნ. გვარამაძე, გ. ხუციშვილი, ვ. გერსამია, ი. ჩიკვაიძე, გ. პარკაძე, თ. ტატიშვილი იუწყებიან **მარიამ გიორგის ასულ ბერიძე-გრიგოლაშვილის** გარდაცვალებას.

ვერა და სეით სიმონგულოვები შვილებით ნელით და მედეათი იუწყებიან დისწულის **ლიზა პეტრეს ასულ ყურულოვის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ჩხარში 4-III.

ბიძა ილია, ბიძაშვილები მარიამ, ნინო, ალექსანდრე, დორა ყიფშიძეები, სიძეები დავით კაპჰარავა და მიხეილ დიდიძე იუწყებიან **გიორგი გრიგოლის-ძე ყიფშიძის** გარდაცვალებას.

და ტატიანა, ძმები ბორის, მიხეილ, ბიძები ზურაბ, გრიგოლ, ლევან ამირაჯიბები ოჯახებით, მამიდები ნინო, თინა, ბიძა ანატოლი ივასენკო იუწყებიან, რომ 4-III, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ოთარ მიხეილის-ძე ამირაჯიბის** პანაშვიდი.

ბოლნისის მედმუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ მ. ჰყონიას მისი **დედის ანეტა ჰყონიას** გარდაცვალების გამო.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება იუწყება ქართული სცენის ძველი მსახიობის **ნატალია ივანეს ასულ კაპაძე-ბერძენიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 1-III, 5½ ს. ოქროყანის, 27.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3 08 67, სამდივნოსი — 3 06 88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3 81 84, სასოფლო სამეურნეო — 3 57 61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3 80 83, სამრეწველო სატრანსპორტო და ინფორმაციის — 3 80 84, მშრომელთა წერილების — 3 73 24, მორიგისა და გამომშვების — 3 81 65, გამომცემლობისა — 3 51 81, სტამბის დირექტორის — 3 77 70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01241